გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 51

2022 წლის 11 მარტი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კვარხეთის ცენტრალურ გზაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა მეჯვრისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლმა და მოითხოვა სოფელ კვარხეთში, ცენტრალურ გზაზე, სოფლის შესასვლელთან, გასასვლელთან და სკოლასთან ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემანელებელი ბარიერების მოწყობა. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად და საგზაო უსაფრთხოებიდან და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნულ ლოკაციაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერები გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ კვარხეთში ცენტრალურ გზაზე სოფლის შესასვლელთან, გასასვლელთან და სკოლასთან შესაბამისი საგზაო ნიშნებით განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კვარხეთის ცენტრალურ გზაზე, სოფლის შესასვლელთან, გასასვლელთან და სკოლასთან შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს გოსტ Р 52 605-2006 -ის შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) **1.18** „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) **3.24** „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა (30კმ/სთ);

გ) **5.20** „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**